

ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინთ სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2013 წლის ანგარიშს, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე სულ შემოვიდა 76 განცხადება. შემოსული განცხადებებიდან:

- ა) 62 შემთხვევაში გაიცა საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად;
- ბ) 5 შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
- გ) 2 განცხადება განხილვის პროცესშია;
- დ) 7 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნა ან საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საჩივარი არ შემოსულა.

აღნიშნულ პერიოდში მოთხოვნა პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ, არ შემოსულა. პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ან მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილობრივი დაკმაყოფილება ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

- ა) 3 შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა ნორმატიული აქტის განმარტებას, რაც სცილდებოდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ უფლებამოსილებას;
- ბ) 7 შემთხვევაში არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომელსაც განმცხადებელი ითხოვდა;
- გ) 2 შემთხვევაში განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ განმცხადებელი ითხოვდა ბეჭდური სახით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ყოველი ტირაჟიდან თითო ეგზემპლარის გადაცემას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 2011 წლის 1 იანვრიდან ნორმატიული და სხვა სახის სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება ხორციელდება ვებგვერდზე (matsne.gov.ge).

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნებს.

აღნიშნულ პერიოდში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნების დარღვევის და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა. აგრეთვე, არ დაფიქსირებულა სხვა რაიმე პრეტენზია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ამასთან, არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების გასაჩივრების არცერთი შემთხვევა. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთანავე, ადგილი არ ჰქონდა მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.